საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები დასრულდა.

მოქალაქეებს 8 მუნიციპალიტეტში გახსნილი საგამოცდო ცენტრები მოემსახურა. გამოცდის ჩაბარების მსურველებს საშუალება ჰქონდათ აერჩიათ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მოქმედი საგამოცდო ცენტრი: თელავი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, თეთრიწყარო, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.
ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის მიზნებისთვის, სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების თარგმნა საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენებზე. გამოცდა ქართულ-სომხურ-აზერბაიჯანულ ენებზე ჩატარდა.

გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 504 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 370 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიკატი 367-მა პირმა მიიღო (ქალი-185; კაცი-182). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდები, მიმდინარე წლის 12-13 ივნისის პერიოდში, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან თანამშრომლობით განახორციელა.

2024 წლის 12-13 ივნისის პერიოდში გამართული საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	თელავის საგამოცდო ცენტრი	50	45	45
2	ბოლნისის საგამოცდო ცენტრი	76	57	57
3	მარნეულის საგამოცდო ცენტრი	150	88	88
4	გარდაბნის საგამოცდო ცენტრი	28	25	25
5	თეთრიწყაროს საგამოცდო ცენტრი	7	7	7
6	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	17	10	10
7	ახალქალაქის საგამოცდო ცენტრი	58	51	48
8	ნინოწმინდის საგამოცდო ცენტრი	118	87	87